

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

დაჩი ჩიტაია

შეთქმულების რწმენა და პოლიტიკური ლეგიტიმაცია რუსეთში:  
კავშირების შესწავლა

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ვლადიმერ ნაფეტვარიძე

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

ასისტენტ-პროფესორი

თბილისი

## ანოტაცია

აღნიშნულ ნაშრომში, განვიხილავთ შეთქმულების თეორიების არსს და შეთქმულების რწმენის საკითხს, თანამედროვე რუსული საზოგადოების მაგალითზე. კვლევაში განხილული იქნება ის ძირითადი ფაქტორები, რითაც საზრდოობს რუსულ საზოგადოებაში არსებული რწმენები, შეთქმულების თეორიების მიმართ და გავანალიზებთ ამ რწმენის გავლენას, რუსეთის ხელისუფლების ლეგიტიმაციის ხარისხზე, საკუთარ მოქალაქეებში. აგრეთვე, ვიმსჯელებთ იმ შესაძლო ფაქტორების არსებობაზე და მათ მნიშვნელობაზე, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ შეთქმულების თეორიების დამაჯერებლობაზე და თავად იქცნენ პოლიტიკური ლეგიტიმაციის განმსაზღვრელ აქტორებად, რუსეთის ფედერაციაში.

ნაშრომის შესასრულებლად გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ ლოჯისტიკური რეგრესიის ანალიზის შედეგად, დავადგინეთ, რამდენად ახდენს გავლენას შეთქმულების თეორიები, თანამედროვე რუსეთში პოლიტიკური ცნობიერების ჩამოყალიბებაზე და საზოგადოების ქცევაზე, საარჩევნო პროცესში. აგრეთვე, სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად, განვსაზრვრეთ ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის შეთქმულების რწმენით და სახელისუფლებო პროპაგანდის გავლენით, საზოგადოების მიერ მიღებულ/მისაღებ გადაწყვეტილებებს.

## სარჩევი

შესავალი .....	4
თავი I - შეთქმულების თეორიები და პოლიტიკური პროცესი: ძირითადი მიდგომები.....	8
1.1. როგორ იმოქმედა "ყირიმის სინდრომმა" ომის დროინდელ პოსტ-კოვიდურ რუსულ საზოგადოებაზე: თეორიული ჩარჩო .....	8
1.2. შეთქმულების თეორიები თანამედროვე პოლიტიკაში - ლიტერატურის მიმოხილვა.....	9
თავი II- შეთქმულების თეორიები პრაქტიკაში: რუსული გამოცდილებები .....	12
2.1. შეთქმულების თეორიები პოსტსაბჭოთა რუსეთში - დასავლეთის გავლენის შერყევის ინსტრუმენტები.....	12
2.2. შეთქმულების თეორიების მუშაობის მექანიზმები და პროპაგანდა რუსეთში.....	15
თავი III- შეთქმულების თეორიის დეტერმინატები თანამედროვე რუსეთში: მეორეულ მონაცემთა ანალიზი.....	16
დასკვნა.....	27
გამოყენებული ლიტერატურა.....	30

## შესავალი

2022 წლის თებერვლის ცივ და სუხიან ღამეს კიევის ცაზე ყველასთვის მოსალოდნელი განგაშის ხმა გაისმა. რუსეთის ფედერაცია, თავს დაესხა დამოუკიდებელ უკრაინას. მიუხედავად იმისა, რომ გეოპოლიტიკური დამაბულობა რუსეთსა და კიევს შორის დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა, ამ აქტის განხორციელება, არასასიამოვნო სიურპრიზი გახდა მთელი მსოფლიოსთვის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პუტინის საგარეო პოლიტიკას მოსახლეობის დიდი რაოდენობა უჭერდა მხარს.

პუტინის ხელისუფლების მიმართ, რუსეთის მოსახლეობის მზარდი მხარდაჭერა, ექსპანსიონისტური და აგრესორული საგარეო პოლიტიკური კურსის მიუხედავად, თავისთავად ბევრ კითხვას აჩენს. ზოგიერთი მეცნიერისა და ანალიტიკოსის აზრით, ეს არის შედეგი სწორედ იმ პროპაგანდისტული პოლიტიკისა, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება ახორციელებს და რომელიც ძირითადად, შეთქმულების რწმენის გაძლიერებას ეფუძნება. სწორედ ამიტომ, შეთქმულების თეორიები და ზოგადად, შეთქმულების რწმენის საკითხის შესწავლა თანამედროვე სამყაროში, ძალიან აქტუალური სახითხია, რაც, როგორც პოლიტიკის მეცნიერების, ისე საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების მხრიდან, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. თემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა, რუსეთის მიერ, უკრაინაზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ, როდესაც, რუსეთმა და მისმა პარტნიორმა ქვეყნებმა, განსაკუთრებული დატვირთვით აამუშავეს პროპაგანდისტული მანქანა.

ავტორიტარულ რეჟიმებში სისტემის მიმართ არსებული ემპათიის გრძნობა მოსახლეობაში ავტონომიური ინდივიდუალური იმპულსებით არ არის მხარდაჭერილი, არამედ იგი განპირობებულია სახელმწიფოს ცენტრალიზებული პროპაგანდისტული სისტემის ეფექტურად ფუნქციონირებაზე - საინფორმაციო ვაკუუმში ამყოფოს

მოსახლეობა და მიაწოდოს მისთვის სასურველი წყარო, თავისთვის პრეფერენცირებული ფორმით.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია დავადგინოთ - რა კავშირი აქვს, მოქალაქეების რწმენას შეთქმულების თეორიების მიმართ, რუსეთის ხელისუფლების რეიტინგის ზრდასთან და და არსებობს თუ არა ისეთი ფაქტორები, რომლებსაც შესაძლოა ხელისშემშლელი როლი ჰქონდეთ ამ პროცესში.

მოცემული მიზნის მისაღწევად, ჩვენი ამოცანებია - განვსაზღვროთ „შეთქმულების თეორიების“ რაობა და მისი მნიშვნელობა თანამედროვე რუსულ საზოგადოებაში და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით, კერძოდ ლოჯისტიკური რეგრესიის ანალიზის დახმარებით, განვსაზღვროთ რა კავშირი აქვს ამას, რუსეთის ხელისუფლების ლეგიტიმაციის საკითხთან.

წინამდებარე კვლევის კითხვებია -

- 1) არის თუ არა დაკავშირებული მხარდაჭერის დონე ინდივიდების მიერ გამომყდავებულ ნდობასთან შეთქმულებების თეორიების მიმართ?
- 2) არსებობს თუ არა რიგი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის მმართველობის ლოიალურობის განმტკიცებას შეთქმულებების თეორიების ზეგავლენით რუსულ საზოგადოებაში?

კვლევის მეთოდოლოგია -

წინამდებარე კვლევის სრულსაყოფად, გამოყენებული იქნება რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ ლოჯისტიკური რეგრესიის ანალიზის შედეგები. აღნიშნულ კვლევით ნაშრომში ვეცდებით, რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით დავადგინოთ თუ რა ტიპის მიმართება არსებობს საარჩევნო ქცევასა და ამომრჩეველში კონსპირაციული თეორიების მიმართ არსებულ დამოკიდებულებაზე. კონსპირაციული თეორიების მნიშვნელობა პოსტ-საბჭოთა სივრცეში ძირითადად დაკავშირებულია რუსულ რბილ ძალასთან (soft power), რომლითაც ხდება მიმყოლი ტიპის პოლიტიკური ცნობიერების მოსახლეობის ჩამოყალიბება, რომელსაც უჩნდება მტრის ხატი და მისთვის ინფორმაციის

ანალიტიკური დამუშავება თითქმის შეუძლებელი ხდება. აღნიშნულ რაოდენობრივ კვლევაში გამოყენებული რესურსების ანალიზისას და დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადების ( X და Y), საიდანაც დამოკიდებულ ანუ Y ცვლადად აღებულია საარჩევნო ქმედება, რომელიც იგულისხმება ის, თუ რომელ პარტიას აძლევს ხმას და დამოუკიდებელ ძვლად აღებულია მრავალი ცვლადი, რომელიც სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს ეხება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ერთ-ერთი ცვლადი მოიცავს რწმენის რეპრეზენტაციას კონსპირაციული თეორიების მიმართ. აღნიშნული საკითხების გააზრება წარმოდგენელია საგარეო პოლიტიკურ სივრცეში მიმდინარე პროცესების განხილვის გარეშე, რადგან ავტორიტარული რეჟიმების საგარეო პოლიტიკაში, ელასტიური მოქმედებების დიაპაზონი ხშირ შემთხვევაში განპირობებულია საშინაო ფრონტზე არსებულ მშვიდ და ე.წ ჰარმონიულ გარემოზე, რომელშიც არ არსებობს პროტესტი და წინააღმდეგობა.

უკრაინაში მიმდინარე რუსეთის ინტერვენციამ და ომის აქტიურმა ფაზამ სამხრეთ კავკასიაში არსებულ ქვეყნებსა და მათ პარტნიორებს შესაძლებლობათა ფანჯარა გაუხსნა. ომით დასუსტებული რუსეთის უყურადღებობის შედეგად, აზერბაიჯანმა პარტნიორი თურქეთის დახმარებით სწრაფი ინტერვენციული ომი აწარმოა ყარაბაღის ტერიტორიაზე და კონფლიქტის სწრაფი მოგვარება გადაწყვიტა, რაც წარმატებით გამოუვიდა. სომხეთის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი რუსეთი აღნიშნული პროცესებიდან სრულად გამოეთიშა და სამხრეთ კავკასიაში პოტენციური ჰეგემონიის კარი თურქეთს გაუღო. აგრეთვე, სტაბილური ეკონომიკური ზრდის შენარჩუნების მიზნით, ავტორიტარულმა ქვეყნებმა გაააქტიურეს რუსეთთან ვაჭრობა და შეცვალეს საგარეო პოლიტიკის პრეფერენციების ფორმულა. შესაძლოა ითქვას, რომ მათი საგარეო პოლიტიკა, გახდა მეტად უფრო პრაგმატული, ვიდრე ღირებულებებზე დაფუძნებული.

შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ომის გამოცდილებამ გააძლიერა ჯგუფური იდენტობისა და სოლიდარობის გრძნობა და გარდაქმნა საზოგადოების ემოციური და ინსტინქტური რეაქციები. ამ ცვლილებებმა, თავის მხრივ, ხელი შეუწყო პუტინის რეჟიმის ძალაუფლებისა და ლეგიტიმურობის კონსოლიდაციას.

2000 წელს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პუტინმა, დიდი როლი ითამაშა რუსეთის მრავალეთნიკური მოსახლეობის მოწყვლადობისა და შიშის გადასაჭრელად, წარუმატებელი გარდამავალი პროცესის განცდით. მთელი მისი კარიერა, უკავშირდება სახელმწიფო სამსახურს. იგი იყო სახელმწიფო მოხელე - ჯერ კვბ-ში, შემდეგ პეტერბურგის მერიის ადმინისტრაციაში, შემდეგ კი ფედერალურ მთავრობაში ( Taylor, B. D. 2018 ) ფაქტია - თავისი სიმულაციური იდეოლოგიით მან წარმატებით მოახერხა საზოგადოების, მედიის, სამოქალაქო ორგანიზაციების, რუსული ელიტების და საზოგადოების სხვა შემადგენელი ნაწილების კონტროლი. ნაშრომის იდეა-ქვაკუთხედი არა მხოლოდ საზოგადოების განცალკევებული და დასუსტებული სეგმენტების კონტროლს ეხება, არამედ პუტინის ავტორიტარული მმართველობის მექანიზმის ჰოლისტურ თეორიულ ანალიზს, რაც ზეგავლენას ახდენს პოლიტიკურ ქცევაზე რუსეთში 2020 წლიდან და უფრო ზუსტად 2022 წლის შემდეგ, 24 თებერვლიდან.

ამ ნაშრომში მე მივყვები რუსული საზოგადოების ერთგანზომილებიანი აფექტური პოლარიზაციის, ემოციურ, ფიკოლოგიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებს, მის სოციალურ იდენტობას და კოლექტიური პოლიტიკურ ცნობიერებას. ჩვენ ასევე ვიკვლევთ პუტინის მხარდაჭერის ცვლილებას პოსტ-კოვიდ რუსულ საზოგადოებაში, ხაზს ვუსვამთ 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ უკრაინაში რუსეთის შეჭრის მნიშვნელობას, სხვადასხვა ფაქტორებს და ხალხის ლოიალობის, შიშისა და რაციონალური არჩევანის განწყობის ცვლილებას. და ბოლოს, განვიხილავთ, თუ როგორ სჯერა რუსეთის საზოგადოებას შეთქმულების თეორიების (CT) და გავანალიზებთ გავლენის წყაროებს რუსული საზოგადოების სხვადასხვა ასაკობრივ და სქესობრივ ჯგუფში.

## თავი I: ძირითადი თეორიები და სამეცნიერო ცოდნები შეთქმულების თეორიების შესახებ

### 1.1. როგორ იმოქმედა "ყირიმის სინდრომმა" ომის დროინდელ პოსტ- კოვიდურ რუსულ საზოგადოებაზე: თეორიული ჩარჩო

გრემ რობერტსონისა და სამუელ გრინის წიგნი, სახელწოდებით "პუტინი ხალხის წინააღმდეგ: დაყოფილი რუსეთის სახიფათო პოლიტიკა", გვთავაზობს რუსეთის პოლიტიკური ლანდშაფტის დეტალურ ანალიზს. კონკრეტულად, ავტორები იკვლევენ ემილ დიურკემის მიერ აღწერილი „კოლექტიური აურზაურის“ კონცეფციას, რომელსაც ისინი იყენებენ რუსული საზოგადოების კოლექტიური ქცევის გასარკვევად, როგორც ასახულია სხვადასხვა მასობრივ გამოკითხვაში. ეს აკადემიური ჩარჩო სასარგებლოა სოციოლოგიური დინამიკის გასაგებად, რომელიც საფუძვლად უდევს რუსეთში პოლიტიკურ კლიმატს და გამოყენებული იქნება წინამდებარე ნაშრომში არსებული მონაცემების, ყოვლისმომცველი ანალიზის უზრუნველსაყოფად. რობერტსონი და გრინი აღნიშნავენ, რომ ადამიანების ერთიანობის გრძნობა „კოლექტიური აურზაურის“ პროცესში მყარად არის დაკავშირებული რუსული საზოგადოების ეიფორიულ განცდასთან პუტინის რეჟიმის პირობებში, რომელშიც ისინი თავს დაცულად გრძნობენ და ერთიანდებიან (Robertson & Greene, 2019). დიურკემის თეზისი „კოლექტიური დუღილის“ შესახებ გვებმარება ავხსნათ რუსული საზოგადოების მიერ, პუტინის მხარდაჭერის გაძლიერებული ან პირიქით, კლებადი ტენდენციები უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის დროს. დიურკემის თეორიის ძირითადი არგუმენტი არის კოლექტიური ენერჯის ან ემოციების ილუსტრირება სხვადასხვა ჯგუფებსა და საზოგადოების მონაწილეებს შორის, რომელიც სცილდება მათ ინდივიდუალურ გამოცდილებას და აყალიბებს უპირობო, სოლიდარობას მთავრობის ან ქარიზმატული



ლიდერის მიმართ, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მრავალი ფაქტორით, განსაკუთრებით კი შეთქმულების თეორიებით, რაც განხილულია ჩემს ნაშრომში.

მე ასევე მივყვები რაციონალური არჩევანისა და სოციალური იდენტობის თეორიების ძირითად ასპექტებს. თავის წიგნში „პუტინიზმის კოდექსი“ ტეილორი ცდილობს აღწეროს, რომ რაციონალური არჩევანი სრულად არ არის დაკავშირებული ინდივიდების ავტონომიურ ინტერესებთან. ვებერისეული „ინსტრუმენტული რაციონალიზმის“ კონცეფციაში ტეილორი განსაზღვრავს ღირებულებებს ან იდეებს, ემოციებსა და ჩვევებს ( Taylor, B. D. 2018 ). მისი დახმარებით ჩვენ აღვწერთ რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტების შიშს, პოსტსაბჭოთა იდეებს და კონცეპტებს “რუსეთის შვილობის“ და ზოგადად „რუსობის“ შესახებ, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს ჩვეულებრივ ადამიანებზე, რომლებიც სხვადასხვა დროს, გამოკითხულ იქნენ საჯარო გამოკითხვებში. იმ მომენტში, როდესაც ვლადიმერ პუტინი მოვიდა ხელისუფლებაში, თავად რუსეთის ეროვნულ საზოგადოებას არ გააჩნდა კონსოლიდაციის, სოლიდარობის, ერთიანობის ან „ჩვენ-ის“ განცდა, რომელიც ეფუძნება საერთო ნარატივებს და საჯაროდ გამოხატულ ღირებულებებსა და ეროვნულ იდეოლოგიას (Sharafutdinova, G. 2020). ამგვარად, მე ვიყენებ სოციალური იდენტობის თეორიას და მის ღერძს, რომელიც მოიცავს რუსული ანტილიბერალიზმის, ანტიდასავლურობის ღირებულებებს და რუსული მხსნელი მართლმადიდებლობის ძირითად ცენტრალურობას.

## **1.2. შეთქმულების თეორიები თანამედროვე პოლიტიკაში - ლიტერატურის მიმოხილვა**

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ რა არის შეთქმულების თეორიები და როგორ განვსაზღვრავ მათ ჩემს ნაშრომში. შეთქმულებები არის საიდუმლო შეთანხმებები ან/და გარიგებები, რომელიც იწარმოება ორი ან მეტი ცვლადის ( მონაწილის ) მიერ და გვლენას ახდენს რამდენიმე აქტორზე ერთად (Keeley, 1999). შეთქმულებების მიზანი და შედეგები, ძირითადად არის პოლიტიკური ან ეკონომიკური ძალაუფლების უზურპაცია, ადამიანის უფლებების დარღვევ და დადგენილი

შეთანხმებების დარღვევა, სასიცოცხლო მნიშვნელობის საიდუმლოების დამალვა ან ფუნდამენტური მნიშვნელობის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების მოშლა (Douglas et al., 2019). კიდევ ერთი ტერმინი, რომელიც განსაზღვრულია აღნიშნულ ნაშრომში, არის „შეთქმულების რწმენა“. „შეთქმულების რწმენა“ - ეხება რწმენას კონკრეტული შეთქმულების თეორიის, ან შეთქმულების თეორიების ერთობლიობის მიმართ ( Douglas et al., 2019). შეთქმულების თეორიების ეპისტემური ნაკლოვანებები, როგორც ჩანს, არ აღიქმება ადვილად იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც არ აქვთ უნარი ან მოტივაცია, იფიქრონ კრიტიკულად და რაციონალურად (Douglas et al., 2017). ეს ნიშნავს, რომ შეთქმულების თეორიები, ძირითადად ეფექტურია გაუნათლებელ მასებში და მაღალი ანალიტიკური შესაძლებლობების მქონე ადამიანები, ნაკლებად სავარაუდოა, რომ გახდნენ ამ ტიპის შეთქმულების თეორიების მსხვერპლნი (Swami et al., 2014).

კონსპირაციული თეორიები ქმნიან სტაბილურ მიდრეკილებას მოსახლეობაში, რომ დაარწმუნონ სიცრუის ჭეშმარიტებაში და აღნიშნული ინფორმაცია მრავალი ფორმით მიიტანონ ამომრჩევლებამდე (Imhoff & Bruder, 2014). მეორე მთავარი შეხედულება არის ის, რომ ინდივიდუალური განსხვავებების გარდა, შეთქმულების თეორიების რწმენა ხშირად ეფუძნება სოციალური კონტექსტებს. მაგალითად, იდეოლოგიური მოტივები გავლენას ახდენს პოლიტიკურ შეთქმულების რწმენაზე, რაც დამოკიდებულია არჩევნების შედეგებზე (van Prooijen & Douglas, 2018). ვან პროიენმა და დუგლასმა აღნიშნულ სტატიაში განსაზღვრეს შეთქმულების თეორიის 4 პრინციპი: 1) შეთქმულების თეორიები არის თანმიმდევრული, 2) შეთქმულების თეორიები არის უნივერსალური, 3) შეთქმულების თეორიების რწმენა ემოციურ ფაქტორებს ეფუძნება, 4) შეთქმულების თეორიების რწმენა არის სოციალური ფენომენი. თანმიმდევრული შედეგებისთვის, ისინი აღნიშნავენ, რომ კვლევის იმ მონაწილეთა გამოვლენა, რომლებიც არიან ანტი-ვაქსერული შეთქმულების თეორიების მსხვერპლნი, ამყარებს ამ მოსაზრებას, რადგან ასეთი მოქალაქეების დიდ ნაწილს, აქვს შექმულების თეორიაზე დაყრდნობით ჩამოყალიბებული პოზიციები, ვაქცინაციასთან დაკავშირებით (van Prooijen & Douglas 2014). გარდა ამისა, ისინი იკვლევენ შეთქმულების თეორიების რწმენის სოციალურ, პოლიტიკურ და ემოციურ კონტექსტს, რომელიც ქმნის შეთქმულების აზროვნების მთელ

ჩარჩოს და მის კორელაციას პოლიტიკურ და სოციალურ კონტექსტთან (Jolley & Douglas, 2014).

ჩემი კვლევა ამტკიცებს, რომ ავტორიტარულ ქვეყნებში მასობრივი მედიის საშუალებები შეინიშნებიან შეთქმულების თეორიების პროპაგანდაში, რომლებიც შეიცავს საფრთხის ელემენტებს და ჯგუფური მტრის სიმბოლურ წარმოდგენებს. ეს შეთქმულების თეორიები ხშირად ხელს უწყობს ავტორიტარული იდეოლოგიების განმტკიცებას და ამძაფრებს სოციალურ და პოლიტიკურ პოლარიზაციას მედიისა და სამთავრობო ინსტიტუტების მიმართ უნდობლობის გაჩენით (Hofstadter, 1966). მიუხედავად შეთქმულების თეორიების მრავალფეროვნებისა, ასეთი თეორიების რწმენა, როგორც ჩანს, ასახავს კიდევ ერთ ზოგად კონსპირაციულ აზროვნებას (van Prooijen & van Vugt, 2018).

შეთქმულების თეორიები შეიძლება განისაზღვროს, როგორც „სოციალური ფაქტების ახსნა აქტორთა მცირე ჯგუფს შორის პოლიტიკური ან ეკონომიკური ძალაუფლების უზურპაციის, დადგენილი უფლებების დარღვევის, სასიცოცხლო საიდუმლოების დამალვის ან ფართო ზიანის უკანონოდ მიყენების მიზნით საიდუმლო შეთანხმებების საშუალებით“ (Uscinski et al., 2016). შეთქმულების თეორიების გავლენა არ შემოიფარგლება მხოლოდ პოლიტიკური ქცევით, რადგან მათ აქვთ პოტენციური გავლენა მოახდინონ ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე, მათ შორის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკაზე, როგორცაა ვაქცინაცია. შეთქმულების თეორიები დიდი ხანია სცილდება პოლიტიკის სფეროს, მან უკვე შეაღწია ფართო საზოგადოებრივ დისკურსებში და ხელს უწყობს საყოველთაო უნდობლობის გაჩენას, რიგი საკითხების მიმართ. დადასტურებულია, რომ შეთქმულების თეორიების გამოვლენა, გავლენას ახდენს ხალხის მიერ ხმის მიცემისას მისაღებ გადაწყვეტილებაზე ( Jolley, D., & Douglas, K. M. 2014 ). მე ვამტკიცებ, რომ შეთქმულების თეორიების და მოსახლეობის მასობრივად კონსპირაციული აზროვნების დახმარებით, პუტინის მთავრობა რუსეთში მტკიცედ ამყარებს ანტიდასავლურ და ანტილიბერალურ განწყობებს, რაც მათ ეხმარება გაამართლონ თავიანთი სახელმწიფო ლეგიტიმაცია და ექსპანსიონისტური საგარეო პოლიტიკა.

გამოკითხვებში გამოყენებული კვაზი-შეთქმულების თეორიები ძირითადად ეხება რუსეთის მოქალაქეების რწმენას, რომ მაგალითად საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ შეარყიონ მათი სახელმწიფოს პოლიტიკური ლეგიტიმაცია. გარდა ამისა, რამდენიმე კვაზი-კონსპირაციული თეორია ასოცირდება ანტილიბერალურ და ანტიდასავლურ განწყობებთან, რომელთა დახმარებითაც ცდილობენ დაამტკიცონ, რომ დასავლური გავლენები ჰომოსექსუალობის ხელშეწყობისკენაა მიმართული და ტრადიციულ რუსულ ღირებულებებს ძირს უთხრის. თუმცა სანამ ჩვენს რეალურ მონაცემებს შევხებით, სჯობს გავაანალიზოთ შეთქმულების თეორიების ნიმუშები პოსტსაბჭოთა რუსეთში.

## **თავი II - შეთქმულების თეორიები პრაქტიკაში: რუსული გამოცდილებები**

### **2.1. შეთქმულების თეორიები პოსტსაბჭოთა რუსეთში - დასავლეთის გავლენის შერყევის ინსტრუმენტები**

ჩვენ ავხსენით რამდენიმე გზა, თუ როგორ ხდება შეთქმულების თეორიების აგება და გავრცელება საზოგადოებაში. ბევრი მკვლევარი ხედავს შეთქმულების თეორიებს, როგორც ინსტრუმენტს სოციალური და პოლიტიკური კონტექსტისა და რეალობის აღქმისთვის (Radnitz & Underwood, 2017). არსებობს მზარდი რაოდენობა ლიტერატურისა, რომელიც იკვლევს ურთიერთობებს შეთქმულების რწმენასა და პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს შორის. ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ კონსპირაციული რწმენის მქონე პირები, დიდი ალბათობით, სწორედ პოლიტიკუტი ელიტების როლს დაინახავენ, კონკრეტულ შეთქმულებებში. ეს შეხედულება გვაფიქრებინებს, რომ ამ ელიტების უპირველესი მიზანია მათი პოლიტიკური ავტორიტეტის შენარჩუნება, ხშირად დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი საზოგადოების ნდობის ხარჯზე. გარდა ამისა, ეს პერსპექტივა გულისხმობს, რომ კონსპირაციული რწმენის გავრცელება შეიძლება ნაწილობრივ გაძლიერდეს იმ ადამიანების ქმედებებით, რომლებიც იყენებენ შეთქმულების თეორიებს საკუთარი ქცევის გასამართლებლად და პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციისთვის ( Basham, L. 2003). თუმცა, შეთქმულების თეორიების გავრცელებისას, როდესაც ადამიანები


ფიქრობენ დამნაშავეებზე, ისინი ძირითადად გულისხმობენ დ აქცენტირდებიან სახელმწიფოს მტრებზე, უფრო ზუსტად კი საგარეო მტრებზე. ჩიჩოკამ, მარჩლევსკამ, გოლეც დე ზავალამ და ოლეჩოვსკიმ (2016) აჩვენეს, რომ კოლექტიური ნაციონალური ნარცისიზმი პოლონეთში, დაკავშირებული იყო შეთქმულების თეორიების რწმენასთან, 2010 წლის სმოლენსკის კატასტროფაში რუსეთის მონაწილეობის შესახებ, რომელშიც დაიღუპა პოლონეთის პრეზიდენტი და რამდენიმე ოფიციალური პირი (Douglas et al., 2019). რუსეთში შეთქმულების თეორიების ამჟამინდელი შინაარსი, გამოირჩევა დასავლეთისა და ლიბერალური ღირებულებების დისკრედიტაციის ერთობლივი ძალისხმევით, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა საშუალებებით, როგორცაა ერთის მხრივ მედია პროპაგანდა და ფსევდო-მართლმადიდებლური რწმენის პროპაგანდა. თავის ძალიან საინტერესო წიგნში „რუსეთში და პოსტსაბჭოთა რეგიონში შეთქმულების პოლიტიკის სქემების გამოვლენა“, სკოტ რადნიცი საუბრობს იმაზე, თუ როგორ ააქტიურებდა მოსკოვი უკრაინის მიმართ შეთქმულების თეორიებს. ის აღწერს, თუ როგორ საუბრობდნენ რუსული ტელევიზიის ძირითადი სახეები, ანალიტიკოსები, რეპორტიორები და ოფიციალური პირები იმ ნარატივის შესახებ, რომ ფაშისტებმა დაიპყრეს უკრაინა, რომ დასავლურმა დაზვერვამ მხარი დაუჭირა სახელმწიფო გადატრიალებას და რომ ორივე ორგანიზაცია ცდილობდა ეთნიკური რუსების დევნას უკრაინაში. ისინი აგრეთვე „ამხელდნენ“ დასავლეთის გეგმას პუტინის დამხობისა და რუსეთის დასუსტების შესახებ ( Radnitz, Scott. 2021 ).

ილია იაბლოკოვი ამტკიცებს, რომ აშშ-ის ჰეგემონიურ ნარატივებთან დასაპირისპირებლად, კრემლმა ალტერნატიული ნარატივების და განსხვავებული შეთქმულებების სისტემატიური გავრცელება დაიწყო. რუსეთის სახალხო დიპლომატიის ინსტრუმენტი - საერთაშორისო სატელევიზიო არხი Russia Today - 2009 წელს რებრენდირებულ იქნა, როგორც RT, სავარაუდოდ, რუსეთის მთავრობასთან აშკარა კავშირების დამალვის მიზნით (Yablokov, 2022). მოსკოვმა შექმნა ყალბი ანგარიშების, ე.წ ბოტების „ფაბრიკები“, მთელ მსოფლიოში საკუთარი შეთქმულებების გასავრცელებლად. ეს ბოტები ყველაფერს აკეთებენ კრემლთან ასოცირების თავიდან ასაცილებლად. ისინი საკუთარ მოსაზრებებს აქვეყნებენ ადგილობრივ ენებზე, ძირითადად აკრიტიკებენ

ადგილობრივ პოლიტიკურ დღის წესრიგს და ავრცელებენ ანტი-ამერიკულ ან ანტი-ევროპულ დისკურსებს, რომლებსაც ბევრი იზიარებს BRICS-ის ქვეყნებში (Yablokov, 2022).

უკრაინაში შეჭრამდე რუსული სახელმწიფო მედია არა მხოლოდ მეზობელ ქვეყნებში, არამედ განსაკუთრებით რუსულ მოსახლეობაში რამდენიმე შეთქმულებას ავრცელებდა. ძირითადი დისკურსები იყო, რომ - უკრაინას ნაცისტები მართავენ, ნატო მარიონეტულად იყენებს უკრაინას, როგორც რუსეთში შეჭრის იარაღს, აშშ აფინანსებს უკრაინაში ბიოლაბორატებს, რათა შეიქმნას ვირუსები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იქნება რუსული დნმ-ის მქონდე ადამიანების დაინფიცირება და ა.შ. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, რუსული სახელმწიფო მედია, განსაკუთრებული ინტენსივობით ავრცელებს სიცრუეებს და შეთქმულების თეორიებს, რათა მაქსიმალურად გაამართლოს რუსეთის ომი უკრაინასთან ( Radnitz, Scott. 2022 ).

2022 წლის თებერვალს, უკრაინაში დაწყებული სრულმასშტაბიანი შეჭრის წინ, პუტინის გამოსვლის ანალიზით, ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ დაადანაშაულა მან დასავლური ქვეყნები და უკრაინის ხელისუფლება, პედოფილიის ნორმალიზების მცდელობაში - „ნახეთ რას აკეთებენ ისინი საკუთარ ხალხთან!“ (Audureau, 2023) პუტინმა ასევე აღნიშნა, რომ ამერიკელებს ჰქონდათ დამალული ბირთვული იარაღი უკრაინაში და მათ "უკრონაზიებს" უწოდებდნენ. RT-ის ოპერაციები ევროპის უმეტეს ქვეყნებში და აშშ-ში 2022 წლის თებერვალსა და მარტში დაიხურა, მაგრამ ჩვენ მაინც ვხედავთ პუტინის რეიტინგის ზრდას, რაც დაამტკიცა ბოლოს განხორციელებულმა გამოკითხვები რუსეთში.



ლევადა ცენტრის მიერ შეგროვებული ინდიკატორების გაანალიზებისას აშკარა ხდება, რომ 2022 წლის 24 თებერვალს განხორციელებული სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ პუტინის რეიტინგის მნიშვნელოვანი ზრდა მოხდა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამოხატულია გაძლიერებული პოლიტიკური დაძაბულობის კონტექსტში, სადაც რუსეთის წინააღმდეგ ყოვლისმომცველი სანქციების დაწესებამ შექმნა ჯგუფური „საფრთხე“ და გააძლიერა მთავრობის მიერ შეთქმულების თეორიების გავრცელების სისწრაფე და ეფექტურობა.

## 2.2. შეთქმულების თეორიების მუშაობის მექანიზმები და პროპაგანდა რუსეთში

შეთქმულებებისა და სიცრუის გავრცელება მოითხოვს ხელსაყრელ პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ კლიმატს, ეფექტიანობისთვის. აღსანიშნავია, რომ ცრუ ინფორმაციის გავრცელებამ რუსეთში, განსაკუთრებული იმპულსი მოიპოვა 2008 წელს ქვეყნის საქართველოში სამხედრო შემოჭრის შემდეგ და ახალ სიმაღლეებს მიაღწია 2014 წელს უკრაინაში შეჭრის შემდეგ (Paul & Matthews, 2016). მათი საფუძვლიანი ანალიზის დროს პოლი და მეთიუსი ხაზს უსვამენ რუსული მედიის ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც მოიცავს საინფორმაციო არხებისა და შეტყობინებების მნიშვნელოვან გამრავლებას, ასევე მცდარი ან მთლიანად შეთხზული ნარატივების პოპულარიზაციის

დაუოკებელ სურვილს (Paul & Matthews, 2016). გარდა ამისა, ისინი აღნიშნავენ, რომ რუსული მედია-პროპაგანდა არის დამაჯერებელი, განმეორებადი, სწრაფი და ქმნის საყოველთაო დაბნეულობას. გარდა ამისა, ისინი ქმნიან უამრავ ყალბ „ბოტსა“ და „ტროლს“, რომ საჯაროდ მოიწონონ კონკრეტული პოზიციები და შექმნან განცდა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს კონკრეტულ პოლიტიკას. Volchek და Sindelar აღნიშნავენ, რომ ეს ბოტები იღებენ დაახლოებით 700\$-იან ანაზრაურებას 12-საათიანი ცვლაში, რათა განათავსონ კონკრეტული შეტყობინებები სხვადასხვა სოციალურ პლატფორმაზე (Volchek & Sindelar, 2015). ამრიგად, რუსეთის მოქალაქეებს არა მხოლოდ რამდენიმე კვაზი-შეთქმულებასთან აქვთ საქმე, არამედ ყველაფერი ძალიან რთული და კომპლექსურია. ისინი დგანან შეთქმულების, ტყუილის, ტროლებისა და ბოტების მთელი მექანიზმის პირისპირ, რომელიც არა მხოლოდ ერთი წყაროდან, არამედ სხვადასხვა არხებიდან მოედინება და ქმნის საიმედოობის ილუზიას. მრავალი წყარო უფრო დამაჯერებელია, ვიდრე ერთი წყარო, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეს წყაროები შეიცავს სხვადასხვა არგუმენტებს, რომლებიც მიუთითებენ ერთსა და იმავე დასკვნაზე (Volchek & Sindelar, 2015) და როდესაც ჩვენ მივიღებთ სისტემატურ დისკურსებს სხვადასხვა წყაროდან, პროპაგანდა უფრო დამაჯერებელი ხდება. გარდა ამისა, პარალელურად ისინი ასევე აწესებენ უცხოური აგენტების კანონს, უცხოეთიდან დაფინანსებული ორგანიზაციების მუშაობის შესაფერხებლად, რათა მათ მიერ შექმნილ პროპაგანდის მანქანას, არსებობის ან ეფექტური მუშაობის შეზღუდვის საფრთხე არ შეექმნას.

**თავი III : შეთქმულების თეორიის დეტერმინატები თანამედროვე რუსეთში:**

### **მეორეულ მონაცემთა ანალიზი**

**მეთოდები**



წინამდებარე კვლევა ამტკიცებს, რომ მედია ავტორიტარულ ქვეყნებში, ავრცელებს შეთქმულების თეორიებს, რომლებიც შეიცავს საფრთხის ელემენტებს და ჯგუფური მტრის სიმბოლურ წარმოდგენებს. ეს შეთქმულების თეორიები ხშირად ხელს უწყობს ავტორიტარული იდეოლოგიების განმტკიცებას და ამძაფრებს სოციალურ და პოლიტიკურ პოლარიზაციას მედიისა და სამთავრობო ინსტიტუტების მიმართ უნდობლობის გაჩენით (Hofstadter, 1966). მიუხედავად შეთქმულების თეორიების მრავალფეროვნებისა, ასეთი თეორიების რწმენა, როგორც ჩანს, ასახავს კიდევ ერთ ზოგად კონსპირაციულ აზროვნებას (van Prooijen & van Vugt, 2018). პროპაგანდის, მედიის გავლენისა და შეთქმულების კავშირების გასაგებად, მე ვიყენებ იან-ვილემ ვან პროიენისა და მარკ ვან ვუგტის კონსპირაციის ჩარჩოს, რომელიც ჩატარდა VU ამსტერდანში 2018 წელს. ზემოაღნიშნული თეორია მოიცავს არა მხოლოდ პოტენციური საფრთხეების შეფასებას, არამედ ამტკიცებს, რომ არსებობს არის კონკრეტული ნიმუშები, პოლიტიკური კონტექსტი, კოალიციები და ფარული ჯგუფები, რომლებიც მოქმედებენ საიდუმლოდ. ეს ნიმუშები გამოიკვლიეს რუსეთის შემთხვევაში კოვიდ 19-ის პანდემიისა და უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ 2022 წლის 24 თებერვლიდან.

ცვლადებს შორის ურთიერთობებისა და ეფექტების შესასწავლად გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია, რომელშიც გამოვიყენეთ ლოჯისტიკური რეგრესიის მოდელი შესაბამისი ცვლადების მნიშვნელოვნების დასადგენად.

$$\text{logit}(P(Y=1)) = \beta_0 + \beta_1 X_1 + \beta_2 X_2 + \dots + \beta_p X_p$$

აღნიშნულ ფუნქციაში წარმოდგენილია ლოჯისტიკური რეგრესიის გამოყენების ფუნქცია, სადაც  $\beta_0$ -ში წარმოდგენილია ინტერცეპტი, რაც ნიშნავს ლოგარითმული ნიშნულის (log odd) რეპრეზენტაციას, მაშინ როდესაც X არის 0.  $P(y=1)$ -ით აღინიშნება მკურნალობის ეფექტი, რაც ნიშნავს გარკვეულ პოპულაციაზე ცვლადის ეფექტის ზეგავლენას (treatment effect),  $X_1$  და  $X_2$  არის დამოუკიდებელი ცვლადები, როგორცაა შეთქმულების რწმენა, ასაკობრივი ჯგუფი, , განათლება და სხვა. პირველი მოდელის მიზანია გამოიკვლიოს მნიშვნელობა 2018 წელს ხმის მიცემის ქცევისა და შეთქმულების რწმენას შორის, სხვა ცვლადების კონტროლის დროს, როგორცაა ასაკი, სქესი და

განათლება. პუტინის მმართველობის დროს კმაყოფილებასა და შეთქმულებისადმი ნდობას შორის კავშირის შემდგომი შესასწავლად, მოდელში შედის დამატებითი ცვლადი, რომელიც აფასებს აზრებს მომდევნო 3 წლის განმავლობაში ხელფასის ჰიპოთეტური ზრდის შესახებ, რათა გამოიკვლიოს, ხელს უწყობს თუ არა სხვა ფაქტორები ნდობას ან ხმის მიცემის ქცევას. რატომ არის ლოჯისტიკური რეგრესია კარგი შესაძლებლობა იმისა, რომ მსგავსი კვლევა ჩავატაროთ? პირველ რიგში, ლოჯისტიკური რეგრესია საშუალებას იძლევა შევქმნათ ე.წ ხელოვნური ცვლადები (dummy variables), რომლებსაც ექნებათ კატეგორიული ფორმატი და ეს იმის საშუალებას მოგვცემს, რომ თვისებრივად შედგენილი კითხვარით შემუშავებულ მონაცემებს ჩვენ რაოდენობრივად დავამუშავებთ, სადაც გაიზომება ცვლადის ალბათობა, რაც თავად დამოკიდებულია მეთოდის, დისტრიბუციისა და ლოჯისტიკური რეგრესიის ტიპზე, იქნება ეს მრავალჯერადი ლოჯისტიკური multinomial logistic თუ მხოლოდ ორმხრივი ლოჯისტიკური binomial logistic, სადაც ხელოვნურ ცვლადებში კონკრეტული მოცემულობა 0 და 1-ზე გაიზომება. გათვალისწინებით ყველა პლიუსისა, აღნიშნული მონაცემების ანალიზი ლოჯისტიკური რეგრესიის გამოყენებით სწორად ამიტომ გადავწყვიტე.

ვფიქრობ, რომ აღნიშნული კვლევითი ჩარჩო და მოყვანილი მონაცემები საშუალებას იძლევა, სწორი შეფასებითა და მეთოდის სწორად გამოყენებით ეფექტიანად განისაზღვროს კვლევის კითხვები და ჰიპოთეზები.

